სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზ. N154
0112 თბილისი, საქართველო
www.suda.gov.ge
info@suda.gov.ge

05 / აგვისტო / 2024 წ.

KARR0190007540324

№ **04/1122**

სსიპ სახელმწიფო
ქონების ეროვნული
სააგენტოს გაყიდვების
მხარდაჭერის
სამსახურის უფროსს
ბატონ ირაკლი ჩიდრაშვილს

ბატონო ირაკლი,

სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 2024 წლის 24 ივლისის №6/42271 მომართვა (რეგისტრირებული განცხადების ნომერი: 1115/21; თარიღი: 24.07.24), ბახმაროს სარეკრეაციო ტერიტორიაზე, ფიზკულტურის ქუჩაზე მდებარე 33 კვ.მ. დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთის განკარგვის შესახებ.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ დაინტერესებაში არსებული 33 კვ.მ. მიწის ნაკვეთი „ბახმაროს სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის № 589 დადგენილებით დამტკიცებული გეგმების შესაბამისად ხვდება საკურორტო ზონა 1 (შზ-6)-ში (იხ. დანართი).

საკურორტო ზონა 1 (შზ-6) წარმოადგენს ბახმაროს სარეკრეაციო ტერიტორიის საზღვრებში კურორტისათვის დამახასიათებელ განაშენიანებას. ნებადართული სახეობებია: ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, სამთო-სათხილამურო მომსახურების ობიექტები, სასტუმრო, საოჯახო სასტუმრო, დასასვენებელი სახლები, კვების ობიექტები, გართობისათვის განკუთვნილი მომსახურებების ობიექტები, მცირე კომერციული-სავაჭრო მომსახურებების ობიექტები, ავტოსადგომი, დასაშვები სახეობებისათვის დამხმარე და დროებითი შენობა-ნაგებობები. განაშენიანების ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები 80-დან 120 კვ.მ-მდე მიწის ნაკვეთებისთვის: განაშენიანების კოეფიციენტი კ1-0.6-მდე; გამწვანების კოეფიციენტი კ3-0.2-დან; მაქსიმალური სართულიანობა: 2 სართული; მაქსიმალური სიმაღლე: კედლის ბოლომდე 8 მეტრი, კეხში 10 მეტრი.

ფართობიდან გამომდინარე 33 კვ.მ. მიწის ნაკვეთი შეზღუდულია სამშენებლოდ განვითარებისთვის. მისი განვითარება შესაძლებელია მხოლოდ მიმდებარედ არსებულ № 28.24.22.247 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთთან ერთად ფუნქციური ზონით დადგენილი პარამეტრებით.

ასევე გასათვალისწინებელია, რომ ძალაში მყოფი რეგისტრირებული მონაცემების თანახმად, №28.24.22.247 საკადასტრო ერთეული გადადის გენერალური გეგმით გათვალისწინებულ გზაზე. შესაბამისად, სასურველია განხორციელდეს № 28.24.22.247 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირება გენერალური გეგმით დადგენილ გზასთან მიმართებით და საკუთრების მოწესრიგების გეგმის შესაბამისად.

დანართი: 1 (ერთი) გვერდი.

პატივისცემით,

სსიპ–სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი
განვითარების სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

იოანე მენაბდე